საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2019

ივლისი

20.08.2019

www.geostat.ge

20.08.2019

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
2019 წლის ივლისი

2019 წლის ივლისში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 3.2 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 10.7 პროცენტით გაიზარდა.

წინა თვესთან შედარებით ფასების 2.0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფზე და მისი წვლილი ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 1.66 პროცენტული პუნქტით განისაზღვრა. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების ზრდა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (4.3 პროცენტი), კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (1.2 პროცენტი), ასევე ცელულოზაზე, ქაღალდსა და ქაღალდის ნაწარმზე (7.1 პროცენტი).

ფასები 8.0 პროცენტით გაიზარდა **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის** ჯგუფზე, რამაც 0.54 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა მთლიან იდექსზე. ჯგუფში ფასების ზრდა დაფიქსირდა ლითონის მადნებზე და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქციაზე (8.5 პროცენტი).

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

• **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**: ფასები გაიზარდა 12.0 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 9.59 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (12.1 პროცენტი), ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (16.1 პროცენტი), ასევე ცელულოზაზე, ქაღალდსა და ქაღალდის ნაწარმზე (35.5 პროცენტი);

• **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**: დაფიქსირდა ფასების 19.3 პროცენტიანი ზრდა, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 1.25 პროცენტული პუნქტით აისახა;

• **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**: ფასები შემცირდა 1.4 პროცენტით, რამაც -0.13 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა მთლიანი ინდექსის წლიურ ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

20.08.2019

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
2019 წლის ივლისი

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის ივნისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2018 წლის ივლისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**103.2**	**3.15**	**110.7**	**10.71**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**108.0**	**0.54**	**119.3**	**1.25**
CA	ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი	101.8	0.01	105.1	0.02
CB	ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარი¬ერე¬ბის დამუშავების სხვა პროდუქცია	108.5	0.53	120.8	1.23
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**102.0**	**1.66**	**112.0**	**9.59**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	101.2	0.42	112.1	4.36
DB	ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	100.7	0.02	114.2	0.30
DC	ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან	100.0	0.00	102.0	0.00
DD	მერქანი და მერქნის ნაწარმი	100.7	0.01	100.9	0.03
DE	ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება	107.1	0.29	135.5	1.24
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	101.1	0.01	110.3	0.06
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	102.3	0.11	107.9	0.35
DH	რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	99.8	-0.01	108.9	0.29
DI	სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი	100.7	0.07	105.5	0.59
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	104.3	0.70	116.1	2.12
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	98.5	-0.01	112.5	0.08
DL	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	103.7	0.03	105.2	0.05
DN	სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.6	0.01	105.0	0.08
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**109.1**	**0.96**	**98.6**	**-0.13**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი:
გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge